პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 95 (10489) კვირა 22 აპრილი 1956 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 20 კაპ.

## მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე ლონდონში დროთით პრემიერ-მინისტრის იდენის რეზიდენციაში განახლდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის.

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ორ მხარეს შორის შეთანხმებული კომუნიკე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მოლაპარაკების შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ა. იდენთან და სხვა ინგლისელ ხელმძღვანელებთან.

კომუნიკეში ნათქვამია:

„19 და 20 აპრილის განმავლობაში გაიმართა სამი შეხვედრა საბჭოთა და ინგლისელ ხელმძღვანელებს შორის. შეხვედრები მიმდინარეობდა დაუნინგ სტრიტზე, 10. ამ შეხვედრების დროს მოხდა აზრთა გულახდილი და სასარგებლო გაზიარება გულითად ატმოსფეროში.

პირველ შეხვედრას 19 აპრილს დღის მეორე ნახევარში დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ა. ა. გრომიკო, ი. ა. მალიკი, პ. ნ. კუმიკინი, ვ. ი. ეროფეევი, ო. ა. ტროიანოვსკი, ი. ს. ჟემჩუჟნიკოვი; ინგლისის მხრივ დაესწრნენ: ა. იდენი, სელვინ ლოიდი, რ. ბატლერი, ნ. ბრუკი, ა. კირკპატრიკი, უ. ჰეიტერი, გ. ჰოლერი, ტ. ბრიმლოუ.

აღნიშნული შეხვედრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის საკითხზე, [illegible] თვის.

მოხდა აგრეთვე აზრთა წინასწარი გაზიარება ევროპაში არსებული მდგომარეობის საკითხზე.

მეორე შეხვედრას, 20 აპრილს დილით, საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ა. გრომიკო, ი. ა. მალიკი, პ. ნ. კუმიკინი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ს. ლებედევი, ო. ა. ტროიანოვსკი; ინგლისის მხრივ დაესწრნენ: ა. იდენი, სელვინ ლოიდი, ნ. ბრუკი, ა. კირკპატრიკი, უ. ჰეიტერი, დ. იანგი, გ. ჰოლერი, ტ. ბრიმლოუ.

ეს სხდომა მიეძღვნა ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხის განხილვას. შეთანხმდნენ, რომ ორივე მხარის წარმომადგენლები მოამზადებენ შესაბამის წინადადებებს გამართული დისკუსიის საფუძველზე შემდგომი განხილვისათვის.

20 აპრილს დღისით მოხდა მესამე შეხვედრა. საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ა. გრომიკო, ი. ა. მალიკი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ს. ლებედევი, ო. ა. ტროიანოვსკი; ინგლისის მხრივ დაესწრნენ: ა. იდენი, სელვინ ლოიდი, ა. ნატინგი, ნ. ბრუკი, ა. კირკპატრიკი, უ. ჰეიტერი, დ. იანგი, გ. ჰოლერი, ტ. ბრიმლოუ.

ამ სხდომაზე განიხილავდნენ განიარაღების საკითხს“.



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

## ლენინიზმის დროშით

დღეს ჩვენი სამშობლოს ხალხები, ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ოთხმოცდამეექვსე წლისთავს.

მსოფლიოს თვითეული მშრომელი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამს ბრძენი ბელადის — ლენინის სახელს. ლენინის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მისი უკვდავი მოძღვრებით შეიარაღებულნი იმარჯვებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები მათს ბრძოლაში სოციალიზმისათვის. უკვდავი ლენინის ცხოველმყოფელი იდეები აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური და კოლონიური მსოფლიოს მშრომელებს, მთელ მოწინავე კაცობრიობას მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა და გაამდიდრა მარქსიზმი, შეაიარაღა პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიითა და ტაქტიკით. ლენინმა შექმნა მუშათა კლასის გმირი მარქსისტული პარტია, რომელმაც მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი.

ლენინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნას, მის განმტკიცებას. მან შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გენიალური პროგრამა, აღაფრთოვანა პარტია და ხალხი ამ პროგრამის განხორციელებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის გმირმა მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო უკვდავი ლენინის ანდერძის განხორციელება. ჩვენი სამშობლო გადაიქცა უძლიერეს ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად, რომელმაც გაუძლო სამამულო ომის მძიმე განსაცდელს, მოიპოვა უდიდესი გამარჯვება ფაშისტ დამპყრობლებზე და ახალი ძალით გასწია წინ, ლენინური გზით.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელიც ლენინიზმის სულისკვეთებით ჩატარდა, შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში. ყრილობის მსოფლიო-ისტორიული გადაწყვეტილებანი ასახავენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების საარსებო მოთხოვნებს, წარმოადგენენ ლენინიზმის უდიდეს ზეიმს. როგორც პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, ისე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ნათლად არის გამოხატული ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საბრძოლო ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დარაზმონ მთელი თავიანთი ძალები და შემოქმედებითი ენერგია პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ დიდი ლენინის მითითებას მძიმე მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ, რადგან ეს პოლიტიკა მთლიანად შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოსა და ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველია.

საყოველთაო-სახალხო საქმეს წარმოადგენს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავლის 11 მილიარდ ფუთამდე აყვანისათვის. ასრულებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები იბრძვიან იმისათვის, რომ მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების დიად უშრეტ წყაროს, კომუნიზმისაკენ მისი ძლევამოსილი წინსვლის საწინდარს წარმოადგენს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, სსრ კავშირის ხალხების ძმური მეგობრობა. კომუნისტური პარტია წმიდად ასრულებს დიდი ლენინის ანდერძს, ავითარებს და შემდგომ განამტკიცებს კავშირს და ძმურ თანამშრომლობას ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მუშებსა და გლეხებს შორის, უძლეველს ხდის მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას.

საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესანიშნავი მიღწევები, მოძმე რესპუბლიკებთან ერთად მისი ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ ხალხთა შორის მეგობრობის ზეიმია, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ლენინიზმი არის დიადი ყოვლისმძლე მოძღვრება, რომელიც გვინათებს კომუნიზმის მშენებლობის გზას. ლენინი ცოცხლობს კომუნისტური პარტიის გმირულ საქმეებში, ჩვენი სამშობლოს გამარჯვებებში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გრანდიოზულ მიღწევებში. კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დაუღალავად ზრდიან მასებს ლენინიზმის სულისკვეთებით, აძლიერებენ მთელ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მუშაობას, მტკიცედ ახორციელებენ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინურ პრინციპს, განუხრელად იცავენ შინაპარტიული ცხოვრების ლენინურ მოთხოვნებს.

ლენინიზმი უდიდეს გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის წარმოშობა, სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევა ლენინიზმის გამარჯვების ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა.

ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის აღმავლობისათვის, ხალხის მასების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის. ისინი განამტკიცებენ სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს შორის ძმობას და მეგობრობას. მსოფლიო სოციალისტური ბანაკის არსებობა და მისი ძლევამოსილი განვითარება ნათლად მეტყველებს, რომ მსოფლიო ძალთა შეფარდება აშკარად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზიანოდ.

იმპერიალისტურ რეაქციას არ ძალუძს შეცვალოს ისტორიის პროგრესული წინსვლა. მისი ყოველი ცდა — თავს მოახვიოს კაცობრიობას ახალი მტაცებლური ომი — განწირულია ჩასაფუშავად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას — საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას.

ლენინიზმის იდეებით შეიარაღებული სოციალიზმის ბანაკის ხალხები, მთელი პროგრესული კაცობრიობა მტკიცე რწმენით შეჰყურებენ თავიანთ მომავალს, დაუცხრომლად იბრძვიან ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი, ლენინის ცხოველმყოფელი იდეებით აღფრთოვანებული, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინიზმს — ჩვენი პარტიის ძლევამოსილ დროშას!

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

### საუზმე ლონდონის სიტის მუნიციპალურ საბჭოში

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით 10 საათსა და 30 წუთზე პრემიერ-მინისტრის სერ ანტონი იდენის რეზიდენციაში დაუნინგ სტრიტზე, 10, განახლდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა შორის.

ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ 12 საათსა და 30 წუთზე ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ავტომანქანებით წავიდნენ ლონდონის სიტის ლორდ-მერის რეზიდენციაში — მენშენ-ჰაუზში, სადაც საბჭოთა ხელმძღვანელების პატივსაცემად გაიმართა საზეიმო საუზმე. მენშენ-ჰაუზის წინ, რომელიც სიტის შუაგულში — ინგლისის დედაქალაქის საქმიან უბანში — მდებარეობს, შეიკრიბნენ ლონდონელთა ჯგუფები, რომელნიც მიესალმნენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს. ვეებერთელა შენობების ყველა ფანჯარა, რომლებიც გამოდის მენშენ-ჰაუზის მომიჯნავე ქუჩებში, გაივსო სიტის ურიცხვი კანტორისა და დაწესებულების მოსამსახურეებითა და მიმსვლელებით. ისინი გულთბილად მიესალმებოდნენ საბჭოთა ხელმძღვანელებს, ხელს უქნევდნენ და „ვაშას“ ძახილით ხვდებოდნენ. სტუმრებს განსაკუთრებით მხურვალედ შეხვდნენ მუშები, რომლებიც მუშაობენ მენშენ-ჰაუზის ახლოს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე.

მენშენ-ჰაუზის მისაღებ დარბაზში ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა სერ სეიმურ ჰოვარდი, რომელიც ლონდონის სიტის ლორდ-მერის მოვალეობას ასრულებს ლორდ-მერ ეკროიდის არყოფნის დროს.

სერ სეიმურ ჰოვარდთან ერთად, რომელსაც სიტის ლორდ-მერის ტრადიციული მანტია ჰქონდა წამოსხმული, იყვნენ ოლდერმენები, შერიფები და მუნიციპალიტეტის სხვა თანამდებობის პირნი, ბეწვშემოვლებული წითელი და ლურჯი აბრეშუმის მანტიებით. დარბაზში საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად იდგა კრომველის ეპოქის ლამაზი კოსტიუმებით გამოწყობილი, თოროსან და იარაღასხმულ მუნიციპალურ მცველთა ყარაული.

შეხვედრას დაესწრო საუზმეზე შეკრებილი მრავალი სტუმარი. მათ შორის იყო პრემიერ-მინისტრი სერ ა. იდენი.

ნ. ა. ბულგანინს და ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე ა. იდენს და სხვა ინგლისელ ხელმძღვანელ მოღვაწეებს სტუმრები ტაშით შეხვდნენ.

საუზმე გაიმართა მენშენ-ჰაუზის „ეგვიპტურ დარბაზში“. დაესწრო სამასზე მეტი სტუმარი. მთავარ მაგიდას ლონდონის სიტის გერბის ქვეშ მოუსხდნენ სერ სეიმურ ჰოვარდი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სერ ანტონი იდენი, შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ლოიდ-ჯორჯი, ფინანსთა მინისტრი ჰ. მაკმილანი, საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი დ. სენდისი, ვაჭრობის მინისტრი პ. ტორნიკროფტი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰ. ჰეიტსკელი, ლორდი ეტლი, ლონდონის დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი — ნორვეგიის ელჩი პ. პრებენსენი, ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლესი კომისრები, ლონდონის სიტის ოლდერმენები, აგრეთვე ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები მათს მოგზაურობაში, — მათ შორის სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი და სხვები. სტუმრებს შორის იყვნენ ლონდონის ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეცნიერების მოღვაწეები, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. საუზმემ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საუზმის დასასრულს სერმა სეიმურ ჰოვარდმა ადღეგრძელა დიდი ბრიტანეთის დედოფალი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. შესრულებულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელებს ჰისალმებით მიმართა სერმა სეიმურ ჰოვარდმა.

### სეიმურ ჰოვარდის სიტყვა

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, თქვენო აღმატებულებავ, მილორდო ოლდერმენებო, შერიფებო, ლედებო და ჯენტლმენებო! ლორდ-მერის არყოფნის გამო, რომელიც ნიუ-იორკს გაემგზავრა, წილად მხვდა პატივი ლონდონის კორპორაციისა და მოქალაქეთა სახელით მივესალმო რუსეთიდან ჩამოსულ ჩვენს გამოჩენილ სტუმრებს (ტაში) — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბულგანინს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ხრუშჩოვს.

უნდა ვთქვა, ჯენტლმენებო, რომ ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის იმ ფართო სტუმართმოყვარეობასთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთის ხელისუფლებმა გამიწიეს შარშან მოსკოვში ჩემთვის ფრიად ღირსსახსოვარი ყოფნის დროს.

ამ ვიზიტის დროს ვნახე ზოგიერთი კოლოსალური ღონისძიება, რომლებსაც ახორციელებს რუსი ხალხი, ახლად გეგმავს და გარდაქმნის რა თავის დიდ დედაქალაქს, და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა მხურვალე მისწრაფებამ მშვიდობისადმი, მთელ მსოფლიოსთან მეგობრობისა და უფრო მჭიდრო კულტურული ურთიერთობისადმი.

საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ვიზიტი დიდ სიამოვნებას ჰგვრის ყველა ჩვენგანს, რამდენადაც ლონდონს არ დავიწყებია დიდსულოვნება საბჭოთა ხალხისა, რომელიც უბედურების — წყალდიდობის დროს, რაც თავს დაატყდა ინგლისს 1953 წელს, დაგვეხმარა და სულ ცოტა 90 ათასი გირვანქა სტერლინგი შემოგვწირა.

ჩვენ მადლიერებით ვიგონებთ ამას და მივესალმებით იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს სტუმრებს გავუწიოთ ქალაქის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და ამხანაგობის გრძნობით გავუწოდოთ მათ ხელი მენშენ-ჰაუზში.

ჩვენი პრემიერ-მინისტრი დროდადრო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა უფრო მტკიცე კონტაქტი დავამყაროთ რუსეთის ხალხთან და იმათთან, ვინც პასუხისმგებელია ამ ხალხის კეთილდღეობისა და პროგრესისათვის; და პრემიერ-მინისტრმა მოგვაგონა, რომ ამ ვიზიტის ძირითადი მიზანია იმ ბევრი საკითხის განხილვა, რომლებიც ჩვენ გვთიშავს.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა კონტაქტი დავამყაროთ ყველა სფეროში, არასოდეს არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან ის ფაქტი, რომ იმისათვის, რომ ეს კონტაქტი ეფექტიანი აღმოჩნდეს ყველა დონეზე, იგი ეფექტიანი უნდა იყოს ზედაფენებში. ისე არაფერი არ უწყობს ხელს საერთაშორისო მშვიდობას და საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებას, როგორც პირადი კონტაქტები, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის უზრუნველყოფს ისეთ ვიზიტს, როგორიც ეს ვიზიტია.

დაძაბულობის ასეთი შენელება არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მარტო განცხადებებით კეთილი ნების შესახებ. იგი დამოკიდებულია ჩვენი ორი ქვეყნის წინაშე მდგომი ძნელი პრაქტიკული პრობლემების გულმოდგინედ და მოთმინებით შესწავლასა და გადაჭრაზე.

ამიტომ, ჯენტლმენებო, თუმცა ჩვენ დიდ სიამოვნებას განვიცდით ჩვენს სტუმრებთან სწორედ აქ, ჩვენს ქვეყანაში შეხვედრისაგან, მაგრამ თვით შეხვედრის ადგილს არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ის, რომ კეთილი ნების ეს მოციქულნი ჩამოვიდნენ ინგლისში, რათა ეთათბირონ ჩვენს ხელმძღვანელებს და ეცადონ განამტკიცონ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების კავშირი. (ტაში).

ყველა ჩვენგანი აქ დღეს გულწრფელად იმედოვნებს, რომ ეს ურთიერთობა განუხრელად განმტკიცდება, რამდენადაც იგი საშუალებაა, რომლის დახმარებითაც ის, ვისთვისაც ძვირფასია ნამდვილი მეგობრობის იდეალები, ცდილობს განმარტოს თავისი გეგმები და პროექტები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ აყვავება და ურთიერთ უშიშროება თანამედროვე გამოგონებათა საშინელებისაგან.

ხიდების მშენებლის მსგავსად სახელმწიფო მოღვაწე თვალყურს უნდა ადევნებდეს იმას, რომ მისი პროექტების საფუძვლები საიმედო იყოს. და იმისათვის, რომ გზები, რომლებმაც ამ ხიდებზე უნდა გაიაროს, ნაკლებად დაკლაკნილი და ნაკლებად ძნელი იყოს, გვერდს უვლიდეს ჩიხებს, ამ გზებს ერების საბედნიეროდ საფუძვლად უნდა ედოს კეთილი ნება და ურთიერთ თანხმობა იმათ შორის, რომელთა წმიდა მოვალეობაა უზრუნველყონ ყველა იმათი უშიშროება, ვისთვისაც ისინი პასუხისმგებელნი არიან.

ერთმა ჩვენმა დიდმა პოეტმა თქვა: „ყოველი გამოცდილება თაღია, რომლის იქითაც ბრწყინავს უცვლევი სამყარო“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი გამოცდილება უკვე გვიჩვენებს, რომ ჩვენი ორი ერის ერთმანეთისათვის დაპირისპირებული აზრებისა და შეხედულებების ვრცელი უცვლევი სამყარო მცირდება, ხოლო მისი შემცირებისდაკვალად ჩვენი იმედი იზრდება და უკეთესი სამყაროს ბრწყინვალება სულ უფრო ძლიერდება.

ისტორია ზღვარია დროში, გეოგრაფია წრეა სივრცეში. ზოგიერთ ხალხს უყვარს თავისი ისტორიული წარსული, ზოგიერთზე გავლენას ახდენს მათი გეოგრაფიული პირობები. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ადამიანთა მორალური ინსტინქტები ერთმანეთის მსგავსია, და რაც უფრო მეტად ვხვდებით ერთმანეთს, ვეწევით მეგობრულ კრიტიკას და გამოვთქვამთ ჩვენს შეხედულებებს, მით უფრო შევძლებთ მოვაგვაროთ ჩვენი უთანხმოება და გამოვჭედოთ ურთიერთობა, რომელიც უფრო მჭიდროდ დაგვაკავშირებს ერთმანეთთან.

დიდად მოხარული ვართ, რომ ჩვენი სტუმრები გვეწვივნენ ასეთ დროს, როცა გაზაფხული წარმოშობს ყვავილებს, რათა დაამშვენოს ცოცხალი დედამიწა, და ბედნიერ ყოფნას ვუსურვებთ მათ. (ტაში).

ჩვენ გვწამს, რომ ინგლისში ყოფნა „ამჟამად, როცა ჩვენში აპრილია“, სასიამოვნო იქნება მათთვის და ყველასთვის, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც ამბობენ, გაზაფხულზე ინგლისში ახალგაზრდა ადამიანის ფანტაზია, თუნდაც ცოტათი, სიყვარულზე ფიქრით არის მოცული. (სიცილი).

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამას საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება, ხოლო თუ ასეა, დარწმუნებული ვარ, რომ მათი მისია ჩვენს ქვეყანაში წარმატებით დაგვირგვინდება.

ჩვენი ქალაქი — ერთა თანამეგობრობისა და იმპერიის პირველი ქალაქია, და იგი ოდითგანვე იმ ფასეულობათა სიმბოლოა, რომლებსაც ჩვენ ყოველთვის ვიცავდით ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ბედნიერნი ვართ მივესალმოთ მსოფლიოს ყველა კუთხის ადამიანებს, რომელნიც გაიცნობენ ჩვენს ხალხსა და მისი ცხოვრების წესს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სტუმრების აქ ყოფნა, თუნდაც ხანმოკლე, მაინც დასამახსოვრებელი იქნება და რომ ისინი თან წაიღებენ წარმოდგენას ხალხზე, რომელიც გამსჭვალულია სიმტკიცით, შრომისმოყვარე, მშვიდო-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში

(დასასრული)

ზისმოყვარე, თავისუფლებისმოყვარეა და კარგად ეპყრობა საბჭოთა ხალხს.

მიმართა რა ნ. ა. ბულგანინს, ჰოვარდმა დასძინა: „გთხოვთ, სერ, გადასცეთ საბჭოთა ხალხს ჩვენი გულითადი სალამი და კეთილმოსურნეობის გულწრფელი გამოხატულება. ლედიბო და ჯენტლმენებო! ვადღეგრძელებ ჩვენს საბჭოთა სტუმრებს!“.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

## ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

პატივცემულო ლორდ-მერო, ბატონებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გადმოგცეთ უღრმესად გულითადი მადლობა კარგი, გულთბილი, მეგობრული მოსალმებისათვის.

მესამე დღეა თქვენს შესანიშნავ დედაქალაქ ლონდონში ვართ. ლონდონში კარგი, მზიანი, მოწმენდილი ამინდია. ლონდონის ნისლი უკვე გაიფანტა, არაფერი არ გვიშლის ხელს დავტკბეთ თქვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა ნახვით. ვფიქრობ, უფრო სასიამოვნოა ცხოვრება, როცა არ არის ნისლი, როცა ანათებს მზე, როცა ყველაფერი ნათელია.

ამ მოკლე ვადაში, რაც ლონდონში ვართ, ჩვენ უკვე დავამყარეთ ერთგვარი კონტაქტი ლონდონელებთან, და ვხედავთ, რომ 1956 წლის გაზაფხულის დღეებში ლონდონელები ცუდ გუნებაზე როდი არიან. ეს, ალბათ, აიხსნება როგორც კარგი ამინდით, ისე სხვა გარემოებებით, რომლებიც უკეთესი მომავლის იმედებს უნერგავენ არა მარტო ლონდონელებსა და ჩვენ, რომლებიც ვესტუმრეთ მათ, არამედ მსოფლიოს ბევრ ხალხსაც. (ტაში). მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე ამინდის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო უკანასკნელი დროის საერთაშორისო ცხოვრების ბევრმა მოვლენამ. ეს მოვლენები თქვენ კარგად მოგეხსენებათ. მე მსურს ვთქვა, რომ ერთგვარი წვლილი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საქმეში ეკუთვნის ლონდონსაც, ისევე როგორც მოსკოვს, რომელთა შორის დამყარდა რეგულარული მეგობრული ურთიერთობა. ჩვეულებრივ დედაქალაქი ყოველ სახელმწიფოში ტონს აძლევს მთელ ამ ქვეყანას. მე ვფიქრობ, რომ ლონდონი და მოსკოვი ახლა სწორ, კარგ ტონს იძლევიან. (ტაში). ჩვენ გვესაჭიროება მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა არა მარტო ცალკეულ ქალაქებს შორის, არამედ სახელმწიფოებს შორისაც, მსოფლიოს ყველა ხალხს შორის. (ტაში). ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვიგონებთ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქთა მერების ამასწინანდელ ურთიერთ ვიზიტს. ბ-ნმა ჰოვარდმა, ჩვენმა პატივცემულმა მასპინძელმა, და მოსკოვის საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა მეტად კარგი ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთს შორის. ჩვენ მივესალმებით მეგობრობის ამ გამოვლინებას და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დედაქალაქების ახალი მერები ბ-ნი ეკროიდი და ნ. ი. ბობროვნიკოვი ასევე კარგი მეგობრები გახდებიან.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ჩამოვედით თქვენს ქვეყანაში, რათა კონტაქტი დავამყაროთ თქვენს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რათა დიდად პატივცემულ სერ ანტონი იდენთან და მის კოლეგებთან მოლაპარაკების პროცესში მივაღწიოთ ურთიერთგაგებას და საჭირო ნაბიჯი გადავდგათ, რომ დავამყაროთ მეგობრობა და ფართო თანამშრომლობა და ურთიერთობა ეკონომიურ, კულტურულ, მეცნიერულ, ტექნიკურ დარგებში. ჩვენ ჩამოვედით აგრეთვე იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო ფართოდ განვავითაროთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა.

როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე ადვილი ამოცანები როდია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს ამოცანები შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც გადაიჭრება. რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთბაშად არ კეთდება. ამის შესახებ რუსულ ანდაზაში ნათქვამია: მოსკოვი ერთბაშად როდი აშენებულა. (ტაში). ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას, ისე კავშირ-ურთიერთობის გაფართოებას თანდათანობით მივაღწევთ. დიდი შესაძლებლობანი გვაქვს, მაგრამ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ისინი, საჭიროა დრო. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჩამოსვლა ინგლისში კარგი დასაბამი იქნება ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, რომელსაც საფუძვლად დაედება მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი პრინციპები.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ბრიტანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის სადღეგრძელო! თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბ-ნო ლორდ-მერო! (ტაში).

სერ სეიმურ ჰოვარდმა გულთბილი მადლობა უძღვნა ნ. ა. ბულგანინს მის მიერ გამოთქმული აზრებისათვის.

სიტყვები, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს ს. ჰოვარდმა და ნ. ა. ბულგანინმა, გადასცეს მენშენ-ჰაუზის დარბაზიდან ინგლისური სატელევიზიო ქსელით.

* * *

მენშენ-ჰაუზში საუზმის შემდეგ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კვლავ გაემართნენ დაუნინგ სტრიტზე, 10, სადაც განახლდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის.

საღამოს ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ეწვივნენ სამეფო სამხედრო-საზღვაო კოლეჯს გრინვიჩში.

# პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ალექსანდრე ზავადსკის
# პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იუზეფ ცირანკევიჩს
# პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ ოხაბს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეთერთმეტე წლისთავს.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჩვენი ქვეყნების მშრომელნი ეწეოდნენ ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. რუსეთის მუშები, დიდი ლენინი დიდად აფასებდნენ მამაცი პოლონელი მუშათა კლასის წვლილს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში. პოლონეთის მშრომელთა ნაცადი ხელმძღვანელი იყო სახელოვანი, სასტიკ კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილი პოლონეთის კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად ახორციელებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, იბრძოდა პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისათვის.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობა გამოიწრთო და განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, დამონებულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლის პერიოდში.

ხელში აიღო რა ძალაუფლება და აღადგინა რა მშობლიური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა, პოლონელი ხალხი მტკიცე რწმენით დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. პოლონეთის მუშათა კლასმა, გლეხობამ, მშრომელმა ინტელიგენციამ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში თავისი გმირული შრომით შეძლეს დაეძლიათ ქვეყნის ყოფილი ეკონომიური ჩამორჩენილობა და შეექმნათ მძლავრი ინდუსტრიული პოლონეთი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას სამართლიანად უკავია თვალსაჩინო ადგილი სოციალისტური ქვეყნების მძლავრ ბანაკში. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად პოლონელი ხალხი გულმოდგინედ იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის.

ურღვევია სახალხო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობა მძლავრი ძალაა ერთობლივ ბრძოლაში სოციალიზმის დიადი საქმისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამ საქმის გამარჯვებისათვის დაუცხრომლად იბრძოდა პოლონელი ხალხის დიდი შვილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე დაუვიწყარი ბოლესლავ ბერუტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასა და მოძმე პოლონელ ხალხს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და პირადად ამხანაგებს ალექსანდრე ზავადსკის, იუზეფ ცირანკევიჩსა და ედვარდ ოხაბს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის საქმეში პოლონელი ხალხის ბედნიერებისათვის და სახალხო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი |
|---|---|---|
| კ. ვოროშილოვი | ნ. ბულგანინი | ნ. ხრუშჩოვი |

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს
# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს
# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ქალაქი მოსკოვი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეთერთმეტე წლისთავის გამო უღრმესად გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენი სახით მოძმე საბჭოთა ხალხებს.

ჩვენი ხალხების მეგობრობის ტრადიცია ღრმა გამოხატულებას პოულობს პოლონეთისა და რუსეთის მუშათა კლასის ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლებში ცარიზმის ბატონობისაგან ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ისტორიულ ბრძოლებში პოლონელი ხალხის საუკეთესო შვილებმა რუსეთის რევოლუციონერთა მხარდამხარ მაღლა ასწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. რეაქციისა და ფაშიზმის წლებში პოლონეთის კომუნისტური პარტია, პოლონეთის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, საბჭოთა კავშირის გმირი კომუნისტური პარტიის გამოცდილებაში პოულობდა შთაგონებას თავისი სახელოვანი რევოლუციური ბრძოლისათვის.

მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შედეგია, გამოხატავს შეურყეველ გადაწყვეტილებას დავიცვათ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა და ჩვენი ხალხების უშიშროება და, ამრიგად, შევიტანოთ წვლილი ევროპის მშვიდობის საქმეში. მან განამტკიცა პოლონელ ხალხსა და საბჭოთა ხალხებს შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც ემყარება სუვერენიტეტის პატივისცემის, თანასწორობის, აგრეთვე ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ამ ხელშეკრულების განხორციელება წლითიწლობით განამტკიცებდა ჩვენი ხალხების მეგობრობასა და ძმობას.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ გაუადვილა პოლონელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დადგომა. დაეყრდნო რა საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, დახმარებასა და მასთან თანამშრომლობას, პოლონელმა ხალხმა შეძლო გულმოდგინე შრომით გადაელახა თავისი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა და ჰიტლერელთა ოკუპაციით გამოწვეული საშინელი ნგრევა და გადაექცია პოლონეთი სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელიც ყოველმხრივ ვითარდება.

ჩვენი ხელშეკრულება გამსჭვალულია ძმური ურთიერთდახმარების, საერთაშორისო სოლიდარობისა და ხალხთა თანასწორუფლებიანობის იდეით, რომელმაც ესოდენ საუცხოო და შემოქმედებითი გამოხატულება ჰპოვა ლენინის უკვდავ მოძღვრებასა და მის მოღვაწეობაში.

ამჟამად, როდესაც საბჭოთა კავშირის განუწყვეტელი და თანმიმდევრული მეცადინეობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის სულ უფრო მეტ კონკრეტულ შედეგებს იძლევა, იწვევს რა უფართოესი მასების მოწონებას, და როდესაც სულ უფრო მეტი ქვეყანა, განურჩევლად საზოგადოებრივი წყობილებისა, მხარს უჭერს მშვიდობის პოლიტიკას, პოლონელი ხალხი კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობასა და ძმობას საბჭოთა ხალხებთან და კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რაც კი ძალუძს, რათა მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს და აყვავდეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განუყრელი მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი მოძმე ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ!

**ალექსანდრე ზავადსკი,**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

**იუზეფ ცირანკევიჩი,**
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**ედვარდ ოხაბი,**
პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

# თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი

თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელებთან ერთად ზეიმით და სიხარულით აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს.

ლენინის დღეები საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, ნიშნდებოდნენ როგორც სასიხარულო საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. აღნიშნავენ რა მათ, თბილისისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელები უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც მტკიცედ და რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი ლენინის უძლეველი დროშით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ლენინის დღეები წელს მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. თბილისელ მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში, რომელიც პარტიამ დასახა. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა კოლექტივები, რომლებიც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ, გაორკეცებული ენერგიით შრომობენ და ისწრაფვიან ღირსეულად შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

ამ დღეებში ყველა საბჭოთა ადამიანის თვალი მიპყრობილია ლენინის მიერ შექმნილი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი. მილიონობით საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშრომელები უდიდესი სიყვარულით წარმოთქვამენ ლენინის სახელს, ვისმა გენიამ, ვისმა იდეებმა მთელ კაცობრიობას უჩვენეს ნათელი მომავლის გზა, ჩვენი ქვეყნის ხალხებს ალაფრთოვანებენ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. ლენინის სახელი, ლენინის საქმე უკვდავია. ისინი ცოცხლობენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებით, აღმშენებლობით შრომაში, მის დიდ საქმეებში, კომუნისტური მშენებლობის ისტორიულ გამარჯვებებში.

კომუნისტური პარტიისადმი, ლენინის დიადი საქმისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო და ამაღლვებელი გამოხატულება იყო თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების 21 აპრილს გამართული მიტინგი, რომელიც ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას მიეძღვნა.

ვრცელ მოედანზე, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, შეიკრიბა ქალაქის ათასობით მშრომელი. აქ მოვიდნენ მრავალი საწარმოსა და მშენებლობის მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, მოსამსახურეები, საბჭოთა არმიის მეომრები. მოედანზე არიან კლასობრივი ბრძოლების ჭაღარამოსილი ვეტერანებიც, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე იბრძოდნენ, და ახალგაზრდობაც, რომელიც თავის ენერგიასა და ძალას ახმარს პარტიის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

...გაზაფხულის თბილი ნიავი არხევს წითელ ქსოვილებს, რომლებზეც წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი — თავდადებით ვიშრომოთ სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინის ძეგლთან განუწყვეტლივ იცვლება საპატიო ყარაული, რომელშიც დგანან სხვადასხვა გვარეობის ჯარების წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, მ. დ. ჩუბინიძე, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჟედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ს. ი. კოლესნიკოვი, მ. ი. კუჩავა, მ. ნ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ძველი ბოლშევიკები — რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილენი.

ნაშუადღევის 3 საათია. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. კ. მაღრაძე თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგს გახსნილად აცხადებს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

— დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, — ამბობს იგი, — ცხნით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, გენიალური თეორეტიკოსისა და მოაზროვნის, მშრომელი კაცობრიობის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლს.

...ძეგლს ნელა ეხსნება თეთრი საბურველი. შეკრებილთა თვალწინ წარმოდგა ვ. ი. ლენინის დიდებული ფიგურა, რომელიც დადგმულია მაღალ კვარცხლბეკზე. დიდი ბელადი გამოსახულია, როცა იგი სიტყვას წარმოთქვამს, წინ ხელგაწვდილი, თითქოს მოგვიწოდებს ცისკენ წინ მშვენიერი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მოედანზე გაისმის პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ საზეიმო ჰანგები. გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ამხ. მჟავანაძე სიტყვას განაგრძობს. იგი ლაპარაკობს მილიონობით მშრომელთა ულრმეს სიყვარულზე დიდი ბელადისადმი, ვისი მშვენიერი, გმირული სიცოცხლე მთლიანად მიეძღვნა ხალხთა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლას, ვისი მუდამ ცოცხალი სახელი ახალი სამყაროს სიმბოლო გახდა.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელთან დაკავშირებულია მთელი ეპოქა მარქსიზმის განვითარებაში, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ლენინმა პირველმა ყოველმხრივ შეიმუშავა მოძღვრება პარტიის შესახებ, დაასაბუთა, რომ მხოლოდ პარტია არის პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაცია, ძირითადი იარაღი მის ხელში, რომ თუ რევოლუციური მარქსისტული პარტია — ახალი ტიპის პარტია არ იქნა, შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, შეუძლებელია სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება.

ლენინის გენიამ შექმნა და გამოჭედა მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტია. ლენინმა განსაზღვრა მისი იდეოლოგიური, ტაქტიკური, ორგანიზაციული და თეორიული პრინციპები. ლენინმა აღზარდა კომუნისტური პარტია, როგორც მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და გამობრძმედილი მუშათა პარტია, რომლის მთელი საქმიანობის უმაღლესი კანონია ბრძოლა მშრომელთა მასების ინტერესებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის.

ლენინი უდიდესი თეორეტიკოსია, რომელიც გაბედულად კაფავდა თეორიის ახალ გზებს. მან შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი, დამთავრებული თეორია, შეაიარაღა პარტია სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით.

ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია, 1917 წლის ოქტომბერში დაამხეს იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში შექმნა ახალი ერა — კაპიტალიზმის დამხობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას. ლენინიზმის ერთგულმა პარტიამ წარმატებით განახორციელა ეს პროგრამა, საბჭოთა ხალხი მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებამდე.

კომუნისტური პარტია მუდამ მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის ბრძნული ანდერძით. პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სახელოვანი ისტორია, ჩვენი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში ბრწყინვალედ ადასტურებენ ლენინის უკვდავი იდეების ძლევამოსილ სასიცოცხლო ძალას, ლენინიზმის უდიდეს ტრიუმფს. ლენინიზმისადმი, ლენინის პრინციპებისა და ანდერძისადმი კომუნისტური პარტიის ერთგულების მკაფიო და ღრმა გამოხატულებას წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომლებშიც მოცემულია კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მისწრაფებით თავდადებით იბრძოლოს ამ პროგრამის განხორციელებისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს ის უდიდესი აღმავლობა, რომლითაც მშრომელები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს, მათი მტკიცე ბრძოლა მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ლენინიზმის უკვდავი იდეების განხორციელებამ ქართველი ხალხი გაათავისუფლა სოციალური ჩაგვრისა და ეროვნული მონობისაგან, გამოიყვანა იგი სოციალისტური განვითარების ფართო და ნათელ გზაზე.

თავისუფალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მიაღწია თავისი ეკონომიკისა და კულტურის უმაღლეს აყვავებას.

წარსულში ჩამორჩენილი საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. ამხ. მჟავანაძეს მოჰყავს რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების მკაფიო მაგალითები და ციფრები. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1955 წელს 1913 წელთან შედარებით 27-ჯერ გადიდდა. რესპუბლიკაში შექმნილია მანქანათმშენებელი, ქვანახშირის, ქიმიური მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები. ქართველი ხალხის სიამაყეა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა.

შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა რესპუბლიკის მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ. იფურჩქნება და ვითარდება ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

წარმატებანი ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მკაფიოდ ადასტურებენ კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

განუხრელად ხელმძღვანელობს რა ლენინის მითითებებით, პარტია ზრდიდა და ზრდის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. იგი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და კვლავაც გაუფრთხილდება და მთელი ძალღონით განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობას — ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველთა საფუძველს.

ლენინიზმის იდეები აღაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის ხალხებს სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის საბრძოლველად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელსაც მხურვალედ უჭერს მხარს ყველა საბჭოთა ადამიანი. სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი იყო და კვლავ არის საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი.

უმნიშვნელოვანესი საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს, წარმოადგენენ ლენინური პრინციპულობისა და მოქნილობის მაგალითს. ამ უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებათა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულმა ლენინურმა პოლიტიკამ, საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულმა ბრძოლამ მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის მოუპოვეს მას მთელი მსოფლიოს მშრომელთა უფართოესი მასების სიყვარული.

პარტიის ძალაა მასებთან, ხალხთან კავშირი. პარტიას ღრმა რწმენა აქვს ხალხისა, ისტორიის ნამდვილი შემოქმედის — ხალხის მასების რევოლუციური ენერგიისა და შემოქმედებისა.

პარტია, რომელიც ერთგულია ლენინის ანდერძისა, მთელ თავის მოღვაწეობაში ემყარება მშრომელთა მილიონობით მასების მხარდაჭერას, რომლებიც საესებით უჭერენ მხარს პარტიის მიერ შემუშავებულ ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას და [illegible] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ისტორიული განვითარების მსვლელობა ადასტურებს ლენინის წინასწარმეტყველებას. ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ქვეყნების მშრომელთა საქმეებში, მშრომელებისა, რომლებმაც უდიდესი მიღწევები მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მზარდ საერთაშორისო მოძრაობაში. ლენინიზმი ცოცხლობს კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში თავისი სასიცოცხლო უფლებებისა და ინტერესებისათვის, ხალხთა ბრძოლაში კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის.

ამხ. მჟავანაძე ეხება პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამსჭვალულია უკვდავი ლენინური იდეებით. ყრილობამ მუშაობამ მკაფიოდ დაადასტურა ლენინური გენერალური ხაზისა და პარტიული ცხოვრების და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების გამარჯვება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის XX ყრილობის მითითებებს, რომ საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უმკაცრესი დაცვა, ხალხთან ჩვენი პარტიის განუყრელი კავშირის განმტკიცების შესახებ ლენინური მითითებების განუხრელად შესრულება. ეს უდიდეს საფუძვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებით საქმიანობას. XX ყრილობამ დასახა კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს თავდადებული, გმირული შრომისათვის.

— ქართველი ხალხი, — აცხადებს ამხ. მჟავანაძე, — ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხი, მხურვალედ იწონებს და მოლიანად უჭერს რა მხარს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, გამსჭვალულია დიდი ზრუნვით ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის და აცხადებს, რომ მტკიცე აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალები მოახმაროს ბრძოლას ახალი წარმატებათა განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის.

ამთავრებს რა სიტყვას, ამხ. მჟავანაძე ამბობს: საქართველოს დედაქალაქში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის გახსნით თბილისისა და მთელი რესპუბლიკის მშრომელები გამოხატავენ ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი ულრმეს, მხურვალე სიყვარულის გრძნობას.

დღეს ჩვენ საზეიმოდ ვაძლევთ პირობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით აამაღლებს პარტიული ხელმძღვანელობის დონეს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე და უთუოდ გადაწყვეტს ყველა ამოცანას, რომლებიც პარტიამ დაუსახა ჩვენს რესპუბლიკას.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელ ხალხს!

გაუმარჯოს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების დიდ ხელმძღვანელს, წარმმართველ და შთამაგონებელ ძალას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ორატორის ამ უკანასკნელ სიტყვებს.

სიტყვა ამბობს თბილისის ხელსაწყოთა ქარხნის მუშა [illegible] ამხ. გ. ბოგველიძე. მან თქვა:

— მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისა და მასწავლებლის ლენინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჩვენს ხალხს დაუსახა სოციალიზმის გზა, მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ საბჭოთა ქვეყნის გადაქცევის გზა. ახორციელებენ რა ლენინის ანდერძს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი

(დასასრული)

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხის დახმარებით მიაღწიეს ეკონომიკისა და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავებას.

ორატორი ლაპარაკობს პატრიოტულ გრძნობებზე, რითაც გამსჭვალული არიან საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მხურვალედ იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანები საკუთარი ისტორიული გამოცდილებით თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ყველაზე რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრას, უზრუნველყოფს ჩვენი ხალხისათვის დიდ გამარჯვებებსა და მონაპოვარს.

— ჩვენს მშობლიურ პარტიას, — ამბობს ამხ. ბოგვერაძე, — რომელიც უსაზღვროდ ერთგულია ხალხისა და გამოხატავს მის სასიცოცხლო ინტერესებს, არა აქვს იმაზე მეტი საზრუნავი, ვიდრე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, სამშობლოს აყვავებისათვის. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, რომლებიც გამსჭვალულია მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეებით. საბჭოთა ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ, რათა სინამდვილედ აქციონ კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც ყრილობამ დასახა.

მუშათა კლასი დაუცხრომლად იბრძოლებს მთელი სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შემდგომი ზრდისათვის, იბრძოლებს იმისათვის, რომ განახორციელოს ლენინის ანდერძი შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

ჩვენი საელმავლო დეპოს კოლექტივი, რომელიც აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებით, ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით შრომობს. მემანქანეებს სულ უფრო მეტი დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები სახალხო-სამეურნეო ტვირთით, ცდილობენ პირნათლად შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი. თვითეული ჩვენგანი სიამაყის გრძნობას განიცდის, რომ თავისი შრომით მცირედი წვლილი შეაქვს ლენინის უკვდავი იდეების განხორციელებაში. დიდი ბელადის გმირული ცხოვრება და მოღვაწეობა გვასწავლის ვიბრძოლოთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სიტყვას ამბობს პარტიის ძველი წევრი, 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე ამხ. ი. ფრანგულიანი. იგი ლაპარაკობს იმ დიდ და სახელოვან გზაზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა განვლო გენიალური ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შექმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა სოციალიზმის გამარჯვებას მიაღწიეს. ახლა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

— ბრძენ, მშობლიურ პარტიასთან, — თქვა ამხ. ი. ფრანგულიანმა, — დაკავშირებულია მთელი ჩვენი ცხოვრება. ჩვენ, ძველი კომუნისტები, ვამაყობთ, რომ პარტიის ხელმძღვანელობით გავიარეთ ლენინური სკოლა ბრძოლისა ცარიზმის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მშრომელთა ნათელი მომავლისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ მძიმე მსხვერპლსა და სისხლს, რომელიც გმირმა რევოლუციონერმა მებრძოლებმა დაღვარეს, ამაოდ არ ჩაუვლია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ღირსშესანიშნავ წლისთავს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლა.

ჩვენ, პარტიის ძველი წევრები, მხურვალედ ვუწონებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ გენერალურ ხაზს, რომელმაც აღადგინა ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ცხოვრების ნორმები და, უწინარეს ყოვლისა, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოვთქვამთ ჩვენს უსაზღვრო სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანას მიუძღვის ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

პირობას ვაძლევთ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ არ დავიშურებთ ძალებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ამხ. ნ. მუსხელიშვილი.

— ამ დღეებში საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, — თქვა მან, — უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს. ლენინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასი და მახლობელია საბჭოთა ხალხისათვის და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

ლენინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენიალური შემქმნელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელია. ლენინის უკვდავი სახე, მისი მოძღვრება საბჭოთა ხალხის პატრიოტული შთაგონების დაუშრეტელი წყაროა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც განუხრელად ახორციელებს ბრძნულ ლენინურ წინასწარდასახულობებს, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გადაიქცა კომუნიზმის მძლავრ და უძლეველ სიმაგრედ, მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯად.

ფასდაუდებელია ლენინის დამსახურება მარქსიზმის შემოქმედებით განვითარებაში. ლენინი არის მეცნიერების უდიდესი კორიფე, გენიალური თეორეტიკოსი, რომლის იდეები მომავლის გზას უნათებენ კაცობრიობას. ლენინიზმი მეცნიერების ყველა დარგის განვითარების მძლავრი იარაღია. სხვა საკითხების დამუშავებასთან ერთად ლენინმა მარქსიზმი გაამდიდრა ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შემუშავებით.

ამხ. მუსხელიშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ ლენინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ერთიანობისა და ურღვევი მეგობრობის შემქმნელია. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა მამობრივად ზრუნავდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საქართველოსათვის, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საჭიროებებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ იჩენდნენ და იჩენენ ლენინურ ზრუნვას ქართველი ხალხისათვის, სწორედ ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა ხალხებისათვის.

ამ ზრუნვის, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, დიდი რუსი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხის ძმური დახმარების შედეგად საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

ორატორი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომლებიც გამსჭვალულია ლენინიზმის სულისკვეთებით და იდეებით. ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაში დიდი და საპატიო როლი ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებას, რომელიც ემსახურება ხალხს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. საქართველოს მეცნიერები თავიანთ წვლილს შეიტანენ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. მუსხელიშვილი ამბობს, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ძეგლი, რომელიც დღეს გაიხსნა, ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემისა, რომლებითაც ქართველი ხალხი გამსჭვალულია უკვდავი ლენინისადმი, სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც განუხრელად ახორციელებს ლენინის ანდერძს.

სიტყვას ამბობს გარდაბნის რაიონის სოფელ გლდანის მალენკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მეცხოველეობის ფერმის გამგე ამხ. გ. აბუაშვილი. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ საკოლმეურნეო წყობილება სოფლის მეურნეობის კოოპერირების ლენინური გეგმის განხორციელებაა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ლენინის ანდერძს ახორციელებს, გლეხობას უჩვენა ბედნიერი, შეძლებული ცხოვრების გზა.

ქართველი ხალხი თვალნათლივ ხედავს მშობლიური კომუნისტური პარტიის იმ ბრძნული პოლიტიკის განხორციელების შესანიშნავ ნაყოფს, რომელიც გამსჭვალულია ზრუნვით ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკას დღეს მსხვილ მრეწველობასთან ერთად აქვს განვითარებული, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და პლანტაციებში ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკას. სოფლად აღიზარდნენ უხვი მოსავლის ოსტატები.

კოლმეურნე გლეხობა ყოველდღიურად გრძნობს პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მშრომელთა საჭიროებებისათვის. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა, უკვე მოაქვს სერიოზული შედეგები.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, — აცხადებს ამხ. აბუაშვილი, — ენთუზიაზმით იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მათს გულში მხურვალე გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი. საქართველოს კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გამსჭვალული არიან მისწრაფებით — გადაჭარბებით შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1905 წლიდან, რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე ამხ. ვ. ბირიუკოვი ლაპარაკობს ლენინის სიდიადეზე, მისი იდეების ყოვლისშემძლე ძალაზე, რომლებიც მშრომელებს აღაფრთოვანებდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— გაიმარჯვა იმ საქმემ, რომელსაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს რუსეთის რევოლუციის მებრძოლებმა, — ამბობს იგი. — ჩვენმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. საბჭოთა ადამიანები თვალნათლივ ხედავენ, თუ რა მოიტანა ბრძნული ლენინური ანდერძის განხორციელებამ. ახორციელებს რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, პარტიამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი დარაზმა ერთიან ძმურ ოჯახად, უზრუნველყო მათი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება. საქართველო გადაიქცა მოწინავე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.



საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცედ მიდის წინ ლენინური გზით კომუნიზმისაკენ. რევოლუციონერთა უფროსი თაობის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი მშვენიერი ახალგაზრდობა თავისი მამების ღირსი იქნება, არ დაიშურებს ძალებს ლენინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

— ჩვენ უსაზღვროდ ვამაყობთ იმით, — ამბობს დასასრულ ამხ. ბირიუკოვი, — რომ ჩვენი ქვეყანა — ლენინიზმის სამშობლო, კაცობრიობას უკაფავს გზას კომუნიზმისაკენ. ვ. ი. ლენინის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ლენინიზმის დროშის ქვეშ შეიქმნა, იზრდება და მტკიცდება სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკი, რომელიც 900 მილიონ კაცს აერთიანებს. უკვდავი ლენინური იდეების ცხოველმყოფელობა სრულად გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით გამოდის ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. ა. მოდებაძე. იგი აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უკვდავი დამაარსებლის სახელი ძვირფასი და მხურვალედ საყვარელია მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინის გენია განთავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის გზას უნათებს ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი საუკეთესო მომავლისათვის.

— ჩვენმა მამებმა, — თქვა ამხ. მოდებაძემ, — რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ ლენინის გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის მიერ, დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა. ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალიზმი. რევოლუციონერ მებრძოლთა ოცნება ახდა. აყვავდა ცხოვრება ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში. ჩვენი ახალგაზრდობა ცხოვრობს ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრებით. პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვით გარემოცულს, მას აქვს ყველა შესაძლებლობა, რათა განავითაროს თავისი შემოქმედებითი ძალები, მთელი ენერგია და ნიჭი გამოიყენოს ყოველგვარ ასპარეზზე კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების გული გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულით კომუნისტური პარტიისადმი. პარტიის გამოზრდილი ახალგაზრდა პატრიოტები ისწრაფვიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ საყვარელ სამშობლოს, კომუნიზმის გამარჯვების საქმეს. ჩვენ, მომავალი სპეციალისტები, პირობას ვაძლევთ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ რა უბანზეც უნდა გაგვგზავნონ, ყველგან ღირსეულად განვახორციელებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს, მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებას.

ჩვენ გვიყვარს სამშობლო ისე, როგორც უყვარდა იგი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რომელმაც მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე მოახმარა ხალხის ბედნიერებას. ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში მუდამ აღგვაფრთოვანებს ლენინის სახე. საბჭოთა ახალგაზრდობა იმეორებს ვლადიმერ მაიაკოვსკის შესანიშნავ სიტყვებს:

ლენინი —
ცოცხლობდა.
ლენინი —
ცოცხალია.
ლენინი —
იცოცხლებს.

აღფრთოვანებით ლაპარაკობს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელ ლენინზე, მშობლიურ კომუნისტურ პარტიაზე თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გულნარა რობაქიძე. იგი გამოხატავს ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სიხარულს თბილისში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის გახსნის გამო, კითხულობს ლექსს ლენინზე, რომელიც პროლეტარიატს აღაფრთოვანებდა გმირული ბრძოლისათვის მომავალ თაობათა ბედნიერებისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელიც საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებდა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

— ჩვენ ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, — თქვა გულნარა რობაქიძემ, — რომ ჩვენი საყვარელი პიონერული ორგანიზაცია ლენინის ძვირფას სახელს ატარებს. ნორჩი ლენინელები მუდამ ღირსი იქნებიან ამ დიდი სახელისა. პიონერები და მოსწავლეები ბეჯითად ისწავლიან, დაეუფლებიან ცოდნას, რათა გაამართლონ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა მოზარდი თაობისათვის.

დღეს ჩვენი თვალი მიპყრობილია კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებმაც ჩვენთვის უზრუნველყვეს სასიხარულო, ბედნიერი ბავშვობა. ჩვენი მხურვალე სურვილია მუდამ ვიყოთ საყვარელი დედა-სამშობლოს ერთგული შვილები, გავამართლოთ ხალხის იმედი.

მიტინგი დამთავრდა. ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. აქედან, ლენინის მოედნიდან, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგს რადიოთი გადასცემდნენ. ათასობით ადამიანი რესპუბლიკის ყველა კუთხეში ისმენდა ტრანსლაციას და თითქოს უხილავად მონაწილეობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნაში.

...დიდხანს არ დაშლილან მშრომელები მოედანზე. ისინი, ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანი, გულში ატარებენ რევოლუციის უკვდავი გენიის ვ. ი. ლენინისადმი მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობას. ისინი გამსჭვალული არიან მისწრაფებით — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის, საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის ბრძოლას.

• • •

ქალაქში ბინდი ჩამოწვა. უწყვეტ ნაკადად მიემართებიან მოედნისაკენ თბილისელები. სიყვარულით ათვალიერებენ ისინი ვ. ი. ლენინის დიდებულ ძეგლს. ძეგლი ბრინჯაოსაგან ჩამოასხა ლენინგრადის ქარხანამ „მონუმენტსკულპტურამ“. ვლადიმერ ილიას-ძის შვიდნახევარი მეტრი სიმაღლის სკულპტურა დადგმულია ლამაზ ყავისფერ-წითელი გაკრიალებული გრანიტის თერთმეტნახევარი მეტრი სიმაღლის კვარცხლბეკზე.

კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი ვ. ი. ლენინი გამოსახულია მთელი ტანით, აღმართული ხელით. იგი სიტყვით მიმართავს ხალხს. სკულპტურული ფიგურის კომპოზიცია გამოხატავს კომუნიზმისაკენ წინსვლის იდეას, გადმოგვცემს დიდი ბელადის სიდიადეს, დაუცხრომელ ენერგიასა და შეუდრეკელ ნებას. ძეგლით თითქოს გამოხატულია ლენინის იმ იდეების ურყევობა და ძლევამოსილება, რომლებიც მარად ცოცხლობენ, გვეხმარებიან ვაშენოთ ბედნიერი ცხოვრება, ძლევამოსილად ვიაროთ წინ — კომუნიზმისაკენ.

კვარცხლბეკი ეყრდნობა გრანიტის საფეხურებიან საფუძველს. ძეგლის გარშემო იატაკი მოფენილია დიდრონი კვადრატული ფილებით.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლის პროექტის ავტორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი მოქანდაკე ვ. თოფურიძე. მის შექმნაში მონაწილეობდა მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. კვარცხლბეკი აგებულია არქიტექტორების — სტალინური პრემიის ლაურეატის კ. ჩხეიძის, შ. ყავლაშვილის, გ. მელქაძისა და გ. ხეჩუმოვის პროექტით.

ვ. ი. ლენინის დაუვიწყარმა სახემ მხატვრები აღაფრთოვანა ხელოვნების მშვენიერი და გამომსახველი ნაწარმოების შესაქმნელად. მონუმენტურმა ძეგლმა სახე შეუცვალა ქალაქის ცენტრალურ მოედანს. იგი უფრო ლამაზი, თითქოს უფრო ფართო გახდა.

თბილისში ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნის საზეიმო დღე საქართველოს დედაქალაქის მშრომელებისათვის ღირსშესანიშნავი, დაუვიწყარი დღე იქნება. ამ დღეს მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც გარემოსილია დიად ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით, რომელსაც საბჭოთა ხალხი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მიჰყავს წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. (საქდესი).





თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი. ტრიბუნაზეა ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინის ძეგლი

მწვანე კვირტებში თბილისი ფეთქავს,
მკერდზე დიდი მზის სხივდაფენილი.
მრავალი ერი მოვსულვართ ძეგლთან
და ერთ ენაზე ვამბობთ: ლენინი!

კრძალვით ვუცქერით ოქტომბრის ტიტანს,
შევხარით სიბრძნის ჩაუქრობ მნათობს,
ბედნიერია თბილისის მიწა,
მისი თვალების ცეცხლი რომ ათბობს.

დგას ბუმბერაზი...
კვლავ მის ხმას ვისმენთ,
ნათელ შუქს გვაფრქვევს ხალხების მხსნელი,
კომუნიზმის და მშვიდობის გზისკენ
გაუშვერია მზრუნველი ხელი.

ბრძენო, უკვდავო, ამ გზით მივდივართ,
გულს ჩაგვკირვია ძალა მთებური.
ეს გზა ფართოა, ეს გზა დიდია,
შენი ღიმილით განათებული.

ეს გზა სწორია შენი აზრივით,
შენი შუბლივით არის ნათელი,
დღეს კომუნიზმის გარიჟრაჟისკენ
ძმათა მხარდამხარ მიდის ქართველი.

ბრძენო, უკვდავო, ამ გზით მივდივართ,
სადაც გვითითებ, როგორც გვაჩვენებ,
ეს გზა სწორია, ეს გზა დიდია,
ახალ ცხოვრებას ამ გზით ვაშენებთ.

ეს გზა პარტიის გზა არის დიდი,
სხივდაფენილი, ვარდდაფენილი,
ჩვენი სამშობლო წინ მედგრად მიდის
და კვლავ გმირულად გვიძღვის ლენინი.

კვლავ წინ მიგვიძღვის, კვლავ მის ხმას
ვისმენთ,
ნათელ შუქს გვაფრქვევს ხალხების მხსნელი.
კომუნიზმის და მშვიდობის გზისკენ
გაუშვერია მზრუნველი ხელი.

ჩვენც სიხარულით ვუცქერით ტიტანს,
რომ კვლავ ნეტარი დღენი გვაჩვენოს...
...ასე მგონია, დღეს დედამიწაც
ბრუნავს ლენინის ძეგლის გარშემო!

**ალექსანდრე ბეგაშვილი.**

## ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა ქართულ ენაზე

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავის გამო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი.

ერთ-ერთ ბროშურაში შევიდა „რით დავიწყოთ?", „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", „მუშათა კლასი და მუშათა პრესა"; მეორე ბროშურაში — „პოლიტიკური პარტიები რუსეთში", „პოლიტიკური პარტიები რუსეთში და პროლეტარიატის ამოცანები"; მესამე ბროშურაშია შემდეგი ნაწარმოებნი: „საბჭოთა ხელისუფლება და ქალის მდგომარეობა", „მუშა ქალთა საერთაშორისო დღე"; მეოთხე ბროშურაში შედის სტატიები: „იუბილეს გამო", „საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია".

ბროშურები გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

## ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ქართულ ხალხურ პოეზიაში ვ. ი. ლენინის სახე, როგორც ყველაზე მახლობელი და საყვარელი ადამიანისა, მთელი სიძლიერით აისახა.

პირველი ლექსი, რომელიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება, შექმნა ცნობილმა სახალხო მთქმელმა ი. მირიანაშვილმა და საჯაროდ წაიკითხა 1924 წელს, ვ. ლენინის გლოვის დღეებში. ლექსში გატარებულია ის აზრი, რომ ლენინი მხოლოდ ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მისი საქმე, ლენინის იდეები მარად იცოცხლებს.

30-იან წლებში შეიქმნა საყოველთაოდ გავრცელებული ლექსი ლენინზე — „ორი მზე". ამ ლექსში მოცემულია მზისა და ლენინის პოეტური შედარების განუმეორებელი სურათები. ეს შედარებები მეტად კონკრეტული და ხელშესახებია, თანაც ღრმაშინაარსიანი. პირველ სტრიქონებშივე იგრძნობა სახალხო მთქმელის უბრალოება, გულწრფელი უშუალობა.

მთქმელის წარმოდგენით მზე და ლენინი მარადიული ორეულები არიან. ამიტომ მათი დაშორება, რომელიმე მათგანის სიკვდილი ხალხს დაუჯერებლად მიაჩნია:

ვერ დავიჯერებ თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა,
ის კაცი, ვინც მსოფლიოში,
თავისუფლება დათესა...
ორივე მზე ხართ ცხოველი,
მსოფლიოს მანათობელი,
ვერ დაგაშორებთ ერთმანეთს,
არც ერთის სიკვდილს არ ველი.

დიდი ლენინისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში მთქმელი თავის მოკრძალებულ, უაღრესად გულწრფელ განცდებს ასე გადმოგვცემს:

თუმცა ძნელია უშენოდ,
მაინც გადვივლით მთასაო,
მარტო შენ გაგიზიარებ,
ამ ჩემი გულის თქმასაო...
შენებურ ვერვის ვერ ვპოვებთ,
თუნდ ხელი ავყოთ ცასაო.

დიდი ლენინი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მთქმელთა წარმოდგენით ის ყველა მშრომელის ოჯახში იყო. ლენინისათვის არ არსებობდა სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. სწორედ ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ლექს-სიმღერების რეალური, კონკრეტული საფუძველი ლენინის მთელი შეგნებული ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობაა. ამ ფაქტს შესანიშნავად ადასტურებს ლექსი — „თქმულება ლენინზე". თქმულების ძირითადი იდეა ჩაქსოვილია დედა-შვილის გაბაასებაში. შვილი ეკითხება დედას:

მთიდან რომ ზვავი მოქანავს,
არა გლეჯავსა დეკასა?
ან ი ცივ მთაზე დამრჩალსა
არ სცივა იმა ბეჩავსა?

აღნიშნულ სტრიქონებში ალეგორიულად დახატულია რევოლუციამდელი მშრომელი ხალხის მწარე ხვედრი. როგორც ცივ მთაზე დარჩენილ დეკას გადათელავს მომსკდარი ზვავი, ისევე ითელებოდა მშრომელი ხალხი გაბატონებული, მჩაგვრელი კლასებისაგან. ასეთი უსამართლობა მოსპო ლენინმა.

ახლა კი ახალ დრო არის,
იანიც აყვავდებიან,
ია, ვარდი და დეკანი
ერთმანეთს დაუტკბებიან...
მუშურ-გლეხურმა მთავრობამ
ყველას გაუხსნა გონება
და დაგვაშორა ძველი დრო,
ძველი ტყვეობა, მონება.
— მენაც მაგასა ვფიქრობდი,
შვილო, გაზრდილო დედისა,
ლენინი არის, დედაო,
გამხსნელი ხალხის ბედისა.

სახალხო მთქმელები კითხვაზე, თუ ვინ იყო ლენინი, მრავალმხრივ პასუხს აძლევენ. უპირველეს ყოვლისა ლენინი იყო ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადი, რომელმაც უუფლებო მშრომელ ხალხს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა. სწორედ ეს არის ხაზგასმული საყოველთაოდ გავრცელებულ ლექსში — „ლენინ, ოქტომბრის ბელადო".

ლენინ! ოქტომბრის ბელადო,
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მთელ მსოფლიოს გაალვიძებს
შენგან შემოკრული ზარი.

30-იან წლებში ქართულ ხალხურ პოეზიაში შეიქმნა ვრცელი ლექსი ლენინზე, სადაც პოეტურად არის გადმოცემული პირველი იმპერიალისტური ომისა და ოქტომბრის რევოლუციის ეპიზოდები, ნაჩვენებია, თუ როგორ დაირაზმნენ ლენინის დროშის ქვეშ მუშები, გლეხები და ჯარისკაცები.

საბრძოლველად დარაზმულა
ჯარები ლენინისა,
მშრომელთა მამა ლენინმა
პირი გასინჯა ხმლისა...
ბრძანება გამოსულიყო,
ბრძანება ლენინისა:
მოსპეთ თავადი, მდიდარი,
ლუკმა გახადეთ ხმლისა,
მაგრამ არც მდიდრებს ეძინათ,
ჯარი გამოჩნდა მტრისა,
ყველა კუთხიდან დაიძრა,
როგორც ტალღები ზღვისა.

ავტორმთქმელი კონტრასტების გზით ქმნის ბატალურ სურათს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იმარჯვებს ლენინი. დიადი ოქტომბრის მონაპოვარი მტკიცედ დაიცვა ლენინის მიერ შექმნილმა არმიამ.

ლენინი ექსპლოატაციის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მომსპობია, კულტურული რევოლუციის განმახორციელებელია. მან მიწები გლეხობას გადასცა, ქარხნები მუშებს, სოფლები სკოლებით მოჰფინა, მინდვრები არხებით, ელექტროშუქით გაანათა მჭვარტლიანი ქოხები. ფშაველი მთქმელის გადმოცემით ლენინი იყო

სოფლად სკოლების გამხსნელი,
მომტანი სინათლისაო...
ლენინის ნათქომ სიტყვები
შორს გამნათია გზისაო,
მის სიტყვებ აღარ მოკვდება,
როგორც სინათლე მზისაო.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ლენინზე მრავალი ლექსი და სიმღერა შეიქმნა. ამ თემაზე სახალხო მთქმელები და მომღერლები გატაცებით, სისტემატურად განაგრძობენ მუშაობას.

**აპ. ცანავა,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ვ. ი. ლენინის ძეგლი კოლმეურნეობაში

ყვარელი. (საკ. კორ.). ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დაიდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი. მის გარშემო გაშენდა ყვავილნარი.

## ვ. ი. ლენინის დღეები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ჩინეთი

პეკინი, 20 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის მშრომელნი ფართოდ აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს. პეკინის, აგრეთვე სხვა ქალაქების საწარმოებსა და დაწესებულებებში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებები აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მშრომელთა მასწავლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოწყობილია ფოტოგამოფენები და ფოტოვიტრინები. დღეს გამოვიდა ჩინურ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია.

როგორც საკდესის კორესპონდენტს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნის ბიუროში აცნობეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩინეთში ითარგმნა და გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 270-ზე მეტი ნაწარმოები. ჩინეთში გამოცემულ ლენინის ნაშრომთა საერთო ტირაჟი თითქმის 5 მილიონ ცალს აღწევს.

გასული წლის დამლევს ჩინეთში დაიწყო მუშაობა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის გამოსაცემად.

### პოლონეთი

ვარშავა, 20 აპრილი. (საკდესი). პოლონეთში ბევრია ისეთი ადგილი, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იქ ყოფნასთან. პორონინოსა და კრაკოვში მოეწყო მუზეუმები. ბელი დუნაეცში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ცხოვრობდა, გაიხსნა სახლი-მუზეუმი. ვ. ი. ლენინის მუზეუმი გაიხსნა აგრეთვე ვარშავაში.

ათასობით ადამიანი დადის ყოველდღე ამ ისტორიულ ადგილებში. აქ ჩამოდიან ექსკურსიები სილეზიიდან და ბალტიის სანაპიროდან, პოზნანიდან და ლიუბლიანშჩინის სოფლებიდან. აქ ბევრი უცხოელი სტუმარიც მოდის ხოლმე. პორონინოს ვ. ი. ლენინის სახელობის მუზეუმს ყოველ წელიწადს ნახულობს 100 ათასზე მეტი კაცი.

ექსკურსანტების ნაკადი განსაკუთრებით გაძლიერდა ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავის წინ. ვარშავის მუზეუმში გუშინ იყვნენ, მაგალითად, ბევრი მელითონე მუშა, სტუდენტები და დედაქალაქის დაწესებულებათა მოსამსახურეები. მუზეუმის მუშაკები ლექციებსა და მოხსენებებს უკითხავენ მოსახლეობას, მოუთხრობენ, თუ როგორ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

### უნგრეთი

ბუდაპეშტი, 20 აპრილი. (საკდესი). ახლა, როცა უნგრეთის ყველა მშრომელი აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს, განსაკუთრებულ აღფრთოვანებას განიცდის ბუდაპეშტის ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტის კოლექტივი. ეს ინსტიტუტი, რომელიც მარქსისტულ-ლენინური კადრების აღზრდის სკოლაა, წელს აღნიშნავს თავის ხუთი წლისთავს. თავდაპირველად იგი არსებობდა, როგორც რუსული კათედრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტთან, შემდეგ გამოიყო დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად და მიეკუთვნა ვ. ი. ლენინის სახელი.

ამჟამად ინსტიტუტს აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის, ფილოსოფიის, რუსული ენისა და თარგმნის ფაკულტეტები, რომლებზეც სწავლობს 600-მდე სტუდენტი. მათგან 70 პროცენტი მუშებისა და გლეხების შვილებია. ათი წლის განმავლობაში ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა 1.200 კაცმა, რომლებიც გახდნენ მარქსიზმ-ლენინიზმისა და რუსული ენის მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში, პროპაგანდისტები და ლექტორები უნგრეთის მშრომელთა პარტიის საოლქო და რაიონულ ორგანიზაციებში. მომავალ წელს ინსტიტუტში მოხდება ფილოსოფოსთა პირველი გამოშვება.

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები აღნიშნავენ ახალი მეცნიერული ნაშრომებით თემებზე: მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ისტორია და მოღვაწეობა და მისი კავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა.



ქუთაისი. ლენინის პროსპექტი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკთა და აბრეშუმ. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

## მიღებულია ნატრიუმის გვარჯილა

რუსთავი. (საკ. კორ.). აზოტოვანი სასუქების ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ნატრიუმის გვარჯილის განყოფილება. ადგილობრივი წარმოების ამიაკის ბაზაზე მიღებულია მინერალური სასუქის ახალი სახეობა — ნატრიუმის გვარჯილა, რომელიც ეფექტურობით არ ჩამოუვარდება ამ ქარხანაში მანამდე გამოშვებულ ამონიუმის გვარჯილას.

## ამუშავდა გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური

ქუთაისი. (საკ. კორ.). 19 აპრილს საღამოს ამუშავდა გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი, რომელიც უკვე მესამე დღეა შეუფერხებლად იძლევა დენს.

მშენებლები და მემონტაჟეები დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობენ მეორე ჰიდროაგრეგატის მონტაჟის დასამთავრებლად და საცდელი ამუშავების დასაწყებად. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მესამე აგრეგატის მონტაჟიც.

## მენჯში იწყება საკურორტო სეზონი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. იგი საუცხოო შედეგებს იძლევა გულისა და რევმატული ხასიათის დაავადებათა მკურნალობისას. შარშან აქ იმკურნალა 5 ათასამდე მშრომელმა, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

წელს დამსვენებელთა შესახვედრად ბევრი სამუშაო შესრულდა. კეთილმოწყობილია სამკურნალო კაბინეტები, სააბაზანოები, წესრიგზეა მოყვანილი წყლის მიმწოდებელი მექანიზმები. აბაზანებისათვის განკუთვნილი კაბინები საათში გაატარებენ 60 დამსვენებელს. დაიწყო გამწვანების სამუშაოები.

## პრეტენდენტთა ტურნირი

ამსტერდამი, 20 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის მე-13 ტური. ყველა დაფაზე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ხუთი საათის თამაშის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ერთი პარტია. ტურნირის ლიდერმა გროსმაისტერმა კერესმა, აირჩია რა ესპანური პარტია საბოს წინააღმდეგ, ვერ მიაღწია დებიუტში უპირატესობას, ხოლო შემდეგ გამოეპარა მოწინააღმდეგის ერთი ორიგინალური სვლა და შედეგად მისი მდგომარეობა გაუარესდა. უნგრელმა გროსმაისტერმა უპირატესობა მიიღო, მაგრამ ვერ შეძლო მისი გამოყენება. პარტია გადაიდო ეტლების დაბოლოებით, სადაც კერესს ყაიმის დიდი შანსები აქვს. სმისლოვ-პანოს პარტიაში გაითამაშეს ახალინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. ბრძოლა მიმდინარეობდა სმისლოვის ერთგვარი უპირატესობით, მაგრამ ახალგაზრდა არგენტინელმა გროსმაისტერმა მტკიცე პოზიცია შექმნა. 25-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. გელერმა, რომელიც შავებით თამაშობდა ფილიპთან, უპირატესობა მიიღო დებიუტით, ხოლო შემდეგ, გამოიყენა რა თავისი მოწინააღმდეგის რამდენიმე პასიური თანაში, პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. პარტიის ბოლო გელერმა ოსტატურად გაითამაშა და გაიმარჯვა.

რთული ბრძოლა გაჩაღდა სპასკი-პეტროსიანის პარტიაში. პეტროსიანმა მიიღო მეორეხარისხოვანი პოზიციური უპირატესობა, მაგრამ მისი მეფე არ იყო საკმაოდ დაცული. ამან საშუალება მისცა სპასკის შეექმნა აქტიური კონტრიერიში მეფის ფლანგზე. პარტია გადავიდა ოთხი ეტლის დაბოლოებაში და 32-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ბრონშტეინმა კარგი სტილით მოუგო პილნიკს. შუა პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერმა განსაკუთრებული ოსტატობით ითამაშა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ ბრონშტეინის გამსვლელი პაიკი სწრაფად დაიძრა წინ და ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. 30-ე სვლაზე პილნიკმა თავი დამარცხებულად ცნო.

დღეს ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრება.

**გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.**

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**



## ლენინის სახელობის...

ლენინის სახელი ყველაზე ახლობელი, მიმზიდველი და შთამაგონებელი იყო, არის და იქნება ყველა მშრომელისათვის, მათ შორის ჭიათურელი მაღაროელებისათვისაც.

ძველი ბოლშევიკი გ. პარკაძე, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ წლებში ჭიათურაში მუშაობდა, ასეთ შემთხვევას იგონებს:

პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ჭიათურელ მაღაროელებში ბოლშევიკები მუშაობდნენ. მაღაროელებს, რომლებიც სულით და გულით ეწაფებოდნენ ვლადიმერ ილიას-ძის ბრძნულ აზრებს, ბეჯითად სწავლობდნენ მის შესანიშნავ შრომებს, სურდათ პირადად ეხილათ დიდი ლენინი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. მაშინ მაღაროელებს უთხოვნიათ: რადგან ეს შეუძლებელია, გ დაეცით ლენინს, რომ თავისი პორტრეტი მაინც გამოგვიგზავნოსო. მაღაროელთა ამ თხოვნას ლენინამდე მიუღწევია და უთქვამს: დაე წარმოიდგინონ რუსი მუშა — და ეს იქნება ლენინი, დაე წარმოიდგინონ რუსი გლეხი — და ეს იქნება ლენინი...

მოგონების ამ სიტყვებში საუცხოოდ არის გადმოცემული დიდი ლენინის უბრალოება, თავმდაბლობა და ხალხთან სიახლოვე, მოცემულია მაღაროელთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა რევოლუციის დიდი გენიისადმი...

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი მოგონებაში „ვლადიმერ ილიას-ძე ოქტომბრის შემდგომ პირველ წლებში" წერს, რომ შავი ლითონები არასოდეს არ რჩებოდა ვლადიმერ ილიას-ძეს თვალთახედვიდან: იგი დიდძალ ლიტერატურას კითხულობდა ურალის, ციმბირის, კრივოი როგის, მაგნიტკის მთებისა და კურსკის მაგნიტური ანომალიის შესახებ. როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა კავკასიის შესახებ, იგი ლაპარაკობდა არა მარტო ნავთობის მოპოვების განვითარებაზე, არამედ ჩვენს ყურადღებას მიაქცევდა მარგანეცის დამუშავებას ჭიათურაში, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

და მართლაც, ლენინური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის მტკიცე განხორციელებით ჭიათურა გადაიქცა შავი მეტალურგიის ერთ-ერთ მძლავრ კერად. აქ სამი ათეული წლის განმავლობაში მუშაობს მაღარო, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი ლენინის უკვდავ სახელს. ეს მაღარო ყველაზე დიდი წარმადობისა და ყველაზე უფრო მექანიზებულია ჭიათურაში. იგი აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს საბჭოთა ადამიანებს, ჭიათურის მკვიდრთ. აქედან, მარგანეცის სანგრევებიდან თვით მეტალურგიულ ზრმედებამდე მაღალხარისხოვანი მარგანეცი მექანიზებულად მიედინება.

მაღაროელები, ინჟინერ-ტექნიკოსები შეუპოვრად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, ყოველივე ახლისა და მოწინავის დანერგვისათვის. პარტიის საქმისათვის, ლენინის იდეებისათვის თავდადება აძლევს უშრეტ ძალას ნოვატორ მბურღავს გ. თოდაძეს და მაღნის მტვირთავი მექანიზმის მემანქანეს ირ. სამხარაძეს, რომლებიც დავალებას ორმაგად ასრულებენ. ლენინის საქმისადმი ერთგულება შთააგონებს სახელგანთქმულ მაღაროელებს გ. შავაძეს, ლ. დვალს, შ. თოდაძეს, შ. ნოზაძეს, რ. ჩაჩანიძეს და ასეულობით სხვებს, რომლებიც გეგმის გადამეტებით აძლევენ მარგანეცს მშობლიურ მეტალურგიას.

აქ ხელიხელჩაკიდებული, ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან ქართველი და რუსი, უკრაინელი და სომეხი... მაღაროში ენერგიული მუშაობით თავი გამოიჩინა კომუნისტმა მებიგემ, უკრაინელმა იაგორ ბოიკომ და მისმა შვილმა ვიქტორ ბოიკომ, რომელიც მამის დამხმარედ მუშაობს. ისინი ყოველთვის კეთილსინდისიერად და მაღალხარისხოვნად ასრულებენ მინდობილ სამუშაოს.

უკვე კარგად ფლობს ქართულს ოსტატი პავლე შევჩენკო, რომელიც აქ უკრაინიდან მოვიდა. მას საუკეთესო მეგობრობა აქვს გ. ცუცქირიძესა და კ. აბესაძესთან. ისინი ერთად მუშაობენ და თავისუფალ დროსაც ერთად ატარებენ. ასევე დამეგობრდნენ უკრაინელი ნ. შკლიარი, კ. ჩაჩანიძე და დ. ბრეგვაძე. განუყრელი ამხანაგები არიან მბურღავები ალ. პონომარენკო, ი. შეყლაშვილი, ი. ფომიჩევი და ა. ტაბატაძე. ისინი არა მარტო საწარმოო გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, არამედ ფიქრებსა და აზრებსაც, ძმებივით შველიან ურთიერთს მუშაობაში.

საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს მაღაროელებში ახალგაზრდა მარკშეიდერი ნატალია ლისენკო, რომელიც ამ დღეებში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. მან სამი წელი დაჰყო ამ მაღაროში, გაიჩინა ქართველი მეგობარი ქალიშვილები. მათ ხშირად ნახავთ კინოში, თეატრში, ბიბლიოთეკაში, სადაც დიდი ლენინის შრომებთან ერთად რუს, უკრაინელ და ქართველ კლასიკოსთა მხატვრულ ქმნილებებს ეცნობიან.

თავდადებული და უმწიკვლო შრომისათვის ამ მაღაროს ასზე მეტი მუშა დაჯილდოებულია ორდენით, ხოლო ათეულობით მაღაროელს მკერდზე უბრწყინავს დიდი ლენინის ორდენი. მათ შორის არიან შ. სამხარაძე, ვ. უფლისაშვილი, ვ. ბუღაძე, გ. გურული, გ. სამხარაძე, დახელოვნებული უბნის გამგეები პ. ჩაჩანიძე, გრ. გაფრინდაშვილი და სხვები.

სწორედ მაღაროელთა შეუპოვარი შრომით აიხსნება, რომ მაღაროს სახელოვანმა კოლექტივმა 1950 წელთან შედარებით სამჯერ გაადიდა მადნის გამოშვება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. მაღაროს კოლექტივი ყოველთვის წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებას, ხოლო სამჯერ საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი და საუკეთესო მაღაროს სახელწოდება მოიპოვა.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი მაღალი მაჩვენებლებით ხვდება დიდი ლენინის დაბადების დღეს: საგრძნობი გადაჭარბებით შესრულა პირველი კვარტალის ყველა დავალება, გაწეულია 300.000 მანეთის ეკონომია. კიდევ უფრო მაღალნაყოფიერია აპრილი.

მაღაროელები კვლავაც სახელოვნად ატარებენ საამაყო სახელს, პარტიისა და ლენინის იდეებით შთაგონებულნი თავდადებით მუშაობენ სამშობლოს სადიდებლად.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

### დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ბერუჩა (დილას), **რუსთაველის სახელობის** — ოჯახი (დილა-საღამოს). **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა (დილას), უცნობი ქალი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — პირველი გაზაფხული (დილას), პერსონალური საქმე (საღამოს), **სომხური დრამის** — სამველი (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი (დილას), თბილისის ცის ქვეშ (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აჩაკუნე (აბონემენტი № 29, 12 ს.), პრინცესა ტურანდოტი (8 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მედოლის ბედი (10 ს.), ჰილყვავი გაზაფხულის ფრინველია (5 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (12 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდ დარბაზში, 9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, თბილისი, კოლხიდა, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ვ. ი. ლენინი. **ამირანი, ისანი, კიროვის სახელობის პარკი** — მარია კანდელარია, **26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ლედი ჰამილტონი, **კომკავშირელი, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ბრძოლა ველზე, **კომუნარების ბაღი** — მექსიკელი, **დიდუბე** — ოტელო.

შვილები მერი, მიხეილ, ვანო, დავით, სიძე ანდრო ღვამიჩავა, რძლები ლუბა, ირა, თინა შვილებით იუწყებიან

**სონა მიხეილის ასულ გოგოლაშვილი-კუჭაიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IV. 8 ს. გამოსვენება 24-IV, 6 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 9.

[illegible]

მშობლები ოლია, ბაგრატ, შვილი ელიკო ჩილაჩავები, მეუღლე ვენერა თოდუა იუწყებიან

**გაიოზ (გუგული) ჩილაჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24-IV, 8 ს. წულუკიძის ქ. № 8. დაკრძალვა 26-IV, ქ. ზუგდიდში.

შვილები ალექსანდრე, გიორგი, ვლადიმერ, რძლები ელისაბედ, ნინო შვილებით იუწყებიან

**პორფილე პავლეს-ძე ადამიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფელ მათხოჯში (წულუკიძის რ.).

შვილიშვილები მარო, გულო ხოშტარიები იუწყებიან

**ზეფრო ყარამანის ასულ ნაჭყეპია-ნოდიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 24-IV ქ. ოჩამჩირიდან, ბელიაკოვის ქ. № 1. დაკრძალვა სოფელ სუჯუნაში (აბაშის რ.).

მეუღლე ვარა, შვილები ანა, თამარ, სიძე ალეკო ოჯახით იუწყებიან

**ონისიმე გლახინას-ძე მაჩიტაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-IV, 7 ს. 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. კოტე მესხის ქ. № 24.

შვილები ბესარიონ, აკაკი, ვალერიან, ელენე, რძალი ეკატერინე ოჯახებით იუწყებიან

**ირაკლი სიმონის-ძე შატათავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 5 ს. გრიშაშვილის ქ. № 65.

მეუღლე მარიამ, შვილები თამარ, ქეთევან, დარეჯან, სიძეები ვანო, აკაკი, ელიზბარ იუწყებიან

**ანდრია მარკოზის-ძე ტყემალაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25-IV, 8 ს. გამოსვენება 26-IV, 5 ს. ქართველთა ქ. № 28.

შვილები ანდრო, ნოე, და ეკატერინე, ძმა ანტონ ოჯახებით იუწყებიან

**ანეტა სიმონის ასულ შოვნაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რ.).

მშობლები ნინო, ტრიფონ, მეუღლე ეკატერინე, შვილები ლია, ირაკლი, და ელენე, რძალი ელენე ოჯახებით იუწყებიან

**ლევან ტრიფონის-ძე ბარაბაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV, 5 ს. გამოსვენება ბინიდან, კლარა ცეტკინის ქ. № 97.

უე 00695

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.